

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართში N8 –
მობილ ბანკი - შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დაემატოს **6.58. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6.58 სასაჩუქრე ბარათის მიღება ან/და სხვა ფიზიკური პირისთვის გადაცემა/გაგზავნა.“
2. დაემატოს **6.59. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6.59 სასაჩუქრე ბარათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება.“
3. დაემატოს **13.31 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„13.31. სასაჩუქრე ბარათის მიღება ან/და სხვა ფიზიკური პირისთვის გადაცემა/გაგზავნა.“
4. დაემატოს **29. პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„29. სასაჩუქრე ბარათის მფლობელ **კლიენტს მობილ ბანკის** მეშვეობით შესაძლებლობა აქვს სასაჩუქრე ბარათის შესახებ ნახოს/მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
29.1. სასაჩუქრე ბარათის მომსახურების პირობების შესახებ;
29.2. იმ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესახებ, სადაც შესაძლებელია სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიღება;
29.3. სასაჩუქრე ბარათის გადამცემი პირის ვინაობის შესახებ (თუ სასაჩუქრე ბარათი სხვისგან მიიღო);
29.4. სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან არსებული ბალანსის შესახებ;
29.5. სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან არსებული ბალანსის ათვისების **ოპერაციის** შესახებ;
29.6. სასაჩუქრე ბარათის მოქმედების ვადის შესახებ;
29.7. სასაჩუქრე ბარათის კოდის შესახებ, რომელიც საჭიროა სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან პოს-ტერმინალზე ან ელექტრონული კომერციის ტერმინალზე (ინტერნეტ სივრცეში) სასაჩუქრე ბარათის გატარებისთვის.“